

შპს „უნივერსალ თრედინგი“
ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2022 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა.....	8
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	10
მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	11
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	12
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	13
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	14
მმართველობითი ანგარიშგება	24

შპს „უნივერსალ თრეიდიנג“-ის მენეჯმენტს:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აუდიტორული ფირმა FinLine“-ს და შპს „უნივერსალ თრეიდიנג“-ს შორის 2023 წლის 20 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ჩვენ ჩავატარეთ შპს „უნივერსალ თრეიდიנג“-ის (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რაც მოიცავს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას; ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას; აგრეთვე ფინანსური აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკებისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციის მიმოხილვას. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე (მსს ფასს) დაყრდნობით.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად (ან უტყუარად და სამართლიანად) ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნებიც. ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად.

მხარეთა პასუხისმგებლობები

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

შპს „უნივერსალ თრეიდიנג“-ის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოწოდებაზე, ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს მცირე და საშუალო საწარმოთათვის) (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის მსგავსი პრინციპი იქამდე, ვიდრე ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები შეიცავს თუ არა თაღლითობით ან უნებლიე თუ განზრახ დაშვებულ არსებით უზუსტობებს და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ ის არ წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების - ფასს მცირე და საშუალო საწარმოთათვის საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი ცდომილებების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ მათ შეუძლიათ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად, აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიე დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძველის და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე იმისა რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რთა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებისთვის შესაფერი აუდიტორული პროცედურები.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული

მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვეველობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება, საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვეველობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა და მოვახდინოთ აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპებით.

- ვათასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შპს „უნივერსალ თრეიდიგ“-ის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადებული, 2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების დამოუკიდებელი დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგება.

ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი პროცედურები

მოვიპოვეთ და შევამოწმეთ კომპანიის მიერ მოწოდებული დოკუმენტები, მოვახდინეთ 2022 წელს მარაგების შემოსვლა-გასვლის ოპერაციების და კონტრაგენტების ნაშთების ოდენობის გადამოწმება. ამ პროცესში არსებითი ცდომილება არ გამოვლენილა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის

ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების სფერო

ჩვენი პასუხისმგებლობაა დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე. ჩვენ მომსახურება შევასრულეთ, მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, (მგსს) 3000 (გადასინჯული). ჩვენი ფირმა იყენებს ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს და შესაბამისად გააჩნია, ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა მათ შორის დოკუმენტირებული პოლიტიკა და პროცედურები რომლებიც ეხება ეთიკური ნორმების პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე.

2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს, ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ მოვლენების გავლენას.

ჩვენ პროფესიული განსჯის საფუძველზე შევარჩიეთ და განვახორციელეთ პროცედურები, როგორიცაა გამოკითხვა, ანალიზი და დოკუმენტაციის გადახედვა, კომპანიის პოლიტიკის, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და წარდგენილი ინფორმაციის შედარება „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, ასევე განვახორციელეთ რაოდენობრივი და სხვა სახის მონაცემების გადათვლა, შედარება და შეჯერება.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, 2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულია „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

მმართველობით ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხდენილია 2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

შპს „აუდიტორული ფირმა FinLine“ სახელით
(რეგ. № SARAS-F-329711)
გარიგების პარტნიორი: თამარ კოველაძე
(რეგ. № SARAS-A-977853)



მოსაზრება

ჩვენი აზრით, 2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულია „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

მმართველობით ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვედნილია 2022 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

შპს „აუდიტორული ფირმა FinLine“ სახელით

(რეგ. № SARAS-F-329711)

გარიგების პარტნიორი: თამარ კოკელაძე

(რეგ. № SARAS-A-977853)

შპს „უნივერსალ თრეიდინგ“-ის მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

შპს „უნივერსალ თრეიდინგ“-ის მენეჯმენტის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის მიერ ჩატარებული ქმედებების შედეგებზე, ფულადი ნაკადის მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშზე ზემოთ აღნიშნული წლის ბოლოსთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების - მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) დაცვით.

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების მიზანია, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ფართო წრეებს, იმ პირებს რომლებსაც არ გააჩნიათ იმის უფლებამოსილება, რომ საწარმოს მოსთხოვონ მათ სპეციფიკურ საინფორმაციო საჭიროებებზე მორგებული ანგარიშგების მომზადება და დაეხმაროს მათ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.

ფინანსური ანგარიშგება გვიჩვენებს საწარმოს ხელმძღვანელობის ანგარიშვალდებულებას - მისთვის მინდობილი რესურსების უნარიანი მართვის შედეგებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპების ამორჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- განხილვასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად;

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში კონტროლის ეფექტური და მყარი სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს) - ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2023 წლის 11 აგვისტოს.

მენეჯმენტის სახელით:

		
დირექტორი		მთ.ბუღალტერი
ნიკოლოზ ნათბილაძე		ვალინა ვახტანგიშვილი
11/08/2023		11/08/2023
თბილისი, საქართველო		თბილისი, საქართველო

- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს) - ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილ იქნა გამოსაშვებად 2023 წლის 11 აგვისტოს.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

ნიკოლოზ ნათბილაძე

11/08/2023

თბილისი, საქართველო

მთ.ბუღალტერი

ვალინა ვახტანგიშვილი

11/08/2023



თბილისი, საქართველო

შპს "უნივერსალ ტრეიდიგ"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2022 წელი	31 დეკემბერი, 2021 წელი
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		1,707	2,134
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,707	2,134
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	5	1,610,958	345,344
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,743,481	10,733,968
სავადასახადო აქტივი		672	8,929
სხვა მიმდინარე აქტივები		2,283	1,500
სულ მიმდინარე აქტივები		3,357,394	11,089,741
სულ აქტივები		3,359,101	11,091,875
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	13,936	22,303
სულ მიმდინარე ვალდებულებები		13,936	22,303
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		29,090	29,090
გაუნაწილებელი მოგება		3,316,075	11,040,482
სულ საკუთარი კაპიტალი		3,345,165	11,069,572
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,359,101	11,091,875

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2023 წლის 11 აგვისტოს

 ნიკოლოზ ნატსვიშვილი დირექტორი	 გალინა ვახტანგიშვილი მთავარი ბუღალტერი
---	---



შენიშვნები 14-25 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "უნივერსალ თრეიდიგ"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2022 წელი	31 დეკემბერი, 2021 წელი
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		1,707	2,134
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,707	2,134
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	5	1,610,958	345,344
საეაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,743,481	10,733,968
საგადასახადო აქტივი		672	8,929
სხვა მიმდინარე აქტივები		2,283	1,500
სულ მიმდინარე აქტივები		3,357,394	11,089,741
სულ აქტივები		3,359,101	11,091,875
მიმდინარე ვალდებულებები			
საეაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	13,936	22,303
სულ მიმდინარე ვალდებულებები		13,936	22,303
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		29,090	29,090
გაუნაწილებელი მოგება		3,316,075	11,040,482
სულ საკუთარი კაპიტალი		3,345,165	11,069,572
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,359,101	11,091,875

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2023 წლის 11 აგვისტოს

_____ ნიკოლოზ ნათბილაძე	_____ ვალინა ვახტანგიშვილი
დირექტორი	მთავარი ბუღალტერი



შენიშვნები 14-25 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "უნივერსალ ტრეიდიგ"

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2022 წელი	31 დეკემბერი, 2021 წელი
შემოსავალი	8	10,327,000	36,921,939
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	(7,976,424)	(28,082,826)
საერთო მოგება		2,350,576	8,839,113
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(202,011)	(244,518)
სხვა საოპერაციო ხარჯები		-	(309)
საოპერაციო მოგება		2,148,565	8,594,286
არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			
საპროცენტო შემოსავალი		16,609	21,450
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		(1,295,476)	(1,245,519)
წლის მოგება დაბეგვრამდე		869,698	7,370,217
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი)		869,698	7,370,217

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2023 წლის 11 აგვისტოს

 დირექტორი ნიკოლოზ ნატობიძე	 მთავარი ბუღალტერი ჯ. კ. კ. კ.
--	--



შენიშვნები 14-25 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "უნივერსალ თრეიდიგ"

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2022 წელი	31 დეკემბერი, 2021 წელი
შემოსავალი	8	10,327,000	36,921,939
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	(7,976,424)	(28,082,826)
საერთო მოგება		2,350,576	8,839,113
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(202,011)	(244,518)
სხვა საოპერაციო ხარჯები		-	(309)
საოპერაციო მოგება		2,148,565	8,594,286
არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			
საპროცენტო შემოსავალი		16,609	21,450
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		(1,295,476)	(1,245,519)
წლის მოგება დაბეგვრამდე		869,698	7,370,217
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი)		869,698	7,370,217

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2023 წლის 11 აგვისტოს

____ ნიკოლოზ ნათბილაძე	____ ვალინა ვახტანგიშვილი
დირექტორი	მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 14-25 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "უნივერსალ ტრეიდინგ"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

		31 დეკემბერი, 2022 წელი	31 დეკემბერი, 2021 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
რელიზაციიდან მიღებული თანხები		17,256,844	42,044,753
საპროცენტო შემოსავალი		16,609	21,450
მომწოდებლებთან გადახდილი თანხები		(7,015,280)	(26,395,322)
საგადასახადო ხარჯი		(470,046)	(878,960)
სახელფასო ხარჯი		(146,920)	(186,293)
საბროკერო მომსახურების ხარჯი		(13,865)	(35,990)
დაზღვევის ხარჯი		(13,359)	(26,713)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(23,143)	(15,247)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		9,590,840	14,527,678
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	(340)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		-	(340)
დივიდენდი		(8,164,400)	(15,636,600)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		(8,164,400)	(15,636,600)
წმინდა ფულადი ნაკადების ზრდა/(კლება)		1,426,440	(1,109,262)
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(160,826)	(121,214)
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	5	345,344	1,575,820
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	5	1,610,958	345,344

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2023 წლის 11 აგვისტოს

ნიკოლოზ ნათბილაძე
დირექტორი

ვალენტინა ვახტანგიშვილი
მფარველი ბუღალტერი



შენიშვნები 14-25 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "უნივერსალ თრეიდიგ"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

		31 დეკემბერი, 2022 წელი	31 დეკემბერი, 2021 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
რელიზაციიდან მიღებული თანხები		17,256,844	42,044,753
საპროცენტო შემოსავალი		16,609	21,450
მომწოდებლებთან გადახდილი თანხები		(7,015,280)	(26,395,322)
საგადასახადო ხარჯი		(470,046)	(878,960)
სახელფასო ხარჯი		(146,920)	(186,293)
საბროკერო მომსახურების ხარჯი		(13,865)	(35,990)
დაზღვევის ხარჯი		(13,359)	(26,713)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(23,143)	(15,247)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		9,590,840	14,527,678
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	(340)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		-	(340)
დივიდენდი		(8,164,400)	(15,636,600)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		(8,164,400)	(15,636,600)
წმინდა ფულადი ნაკადების ზრდა/(კლება)		1,426,440	(1,109,262)
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(160,826)	(121,214)
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	5	345,344	1,575,820
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	5	1,610,958	345,344

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2023 წლის 11 აგვისტოს



_____ ნიკოლოზ ნათბილაძე	_____ ვალინა ვახტანგიშვილი
დირექტორი	მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 14-25 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "უნივერსალ ტრეიდიგ"
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2021 წელი	29,090	20,129,844	20,158,934
წლის მოგება/(ზარალი)	-	7,370,217	7,370,217
დივიდენდი	-	(16,459,579)	(16,459,579)
31 დეკემბერი 2021 წელი	29,090	11,040,482	11,069,572
წლის მოგება/(ზარალი)	-	869,698	869,698
დივიდენდი	-	(8,594,105)	(8,594,105)
31 დეკემბერი 2022 წელი	29,090	3,316,075	3,345,165

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2023 წლის 11 აგვისტოს

 დირექტორი	ნიკოლოზ ნატოშვილი შპს "უნივერსალ ტრეიდიგ" 405335515 UNIVERSAL TRADING LLC	 ვალენტინა ვახტანგიშვილი მთავარი ბუღალტერი
--	--	--

შპს "უნივერსალ თრეიდიგ"
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი		გაუნაწილებელი მოგება		სულ
1 იანვარი 2021 წელი	29,090		20,129,844		20,158,934
წლის მოგება/(ზარალი)	-		7,370,217		7,370,217
დივიდენდი	-		(16,459,579)		(16,459,579)
31 დეკემბერი 2021 წელი	29,090		11,040,482		11,069,572
წლის მოგება/(ზარალი)	-		869,698		869,698
დივიდენდი	-		(8,594,105)		(8,594,105)
31 დეკემბერი 2022 წელი	29,090		3,316,075		3,345,165

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილი იქნა 2023 წლის 11 აგვისტოს

_____ ნიკოლოზ ნათბილაძე	_____ ვალინა ვახტანგიშვილი
დირექტორი	მთავარი ბუღალტერი

შპს "უნივერსალ თრეიდიგ"

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს "უნივერსალ თრეიდიგ" (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2019 წლის 17 მაისს და მისი ძირითადი საქმიანობაა გაყინული პროდუქტებით საბითუმო ვაჭრობა.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გურამ ფანჭიკიძის ქ., N 22, სადარბაზო 1, სართული 16, ბინა N54, ა ბლოკი.

შპს "უნივერსალ თრეიდიგ" ცდილობს იყოს ყველგან ხელმისაწვდომი საუკეთესო ფასით. კომპანიის ძირითადი ბაზარი აზერბაიჯანია. კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს გაყინული ხორციით საბითუმო ვაჭრობა. მისთვის მნიშვნელოვანია პროდუქტის მომხმარებლებზე ზრუნვა და მათთვის ხარისხიანი პროდუქტის მიწოდება.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს „ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის“ (IFRS for SMEs) მიხედვით.

მენეჯმენტი ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, რამდენადაც ის შეიცავს შესაძლო ფინანსურ ინფორმაციას.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ზოგადად, ისტორიული ღირებულება დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე. სამართლიანი ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად, ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, ბაზრის მონაწილეთა შორის შეფასების თარიღისათვის.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონირებად საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს - ქართული ლარი (GEL). უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციები ჩაინერგება ეროვნულ ვალუტაში, ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების გადაყვანა საანგარიშგებო პერიოდისთვის ხდება ეროვნულ ვალუტაში,

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, წლის ბოლოსთვის არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 აშშ დოლარი/ ლარი	2,7020	3,0976
1 ევრო/ლარი	2,8844	3,5040

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებას და საწარმოს საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

სპეციალური სავაჭრო კომპანია

სპეციალური სავაჭრო კომპანია არის საწარმო, რომელსაც მოგების გადასახადისაგან გათავისუფლების მიზნით მინიჭებული აქვს სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსი. სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მქონე საწარმოს უფლება აქვს: საბაჟო საწყობიდან განახორციელოს უცხოური საქონლის რეექსპორტი; საბაჟო საწყობში განახორციელოს უცხოური საქონლის მიწოდება, როგორც სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის მქონე, ისე ამ სტატუსის არმქონე საწარმოებისთვის; საბაჟო საწყობში შემდგომი რეექსპორტის ან/და მიწოდების მიზნით არანაკლებ საბაჟო ღირებულებით შეისყიდოს უცხოური საქონელი სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსის არმქონე საწარმოსაგან;

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. კომპანია დეტალურად აანალიზებს სავაჭრო მოთხოვნებს და მენეჯმენტის უშუალო ჩართულობით, ერთიანი შემუშავებული ფორმით ახდენს ფინანსური რეზერვის სამართლიანი ოდენობის განსაზღვრას.

პირველ რიგში თითოეულ სავაჭრო მოთხოვნაზე ხდება იმის ინდივიდუალური ანალიზი, ხომ არ არსებობს რწმუნება, რომ კომპანია არსებულ დავალიანებას საერთოდ ვერ დაფარავს. ამ შემთხვევაში შესაბამისი სავაჭრო მოთხოვნა დარეგერდება 100 %-ით.

ასევე ფასდება, ხომ არ არის დავალიანების რაიმე ნაწილი, რომელსაც კლიენტი არ ეთანხმება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ნაწილი დარეგერდება ასევე 100%-ით, ხოლო დარჩენილი თანხა შეფასდება ვადაგადაცილების დღეების მიხედვით: 180 დღემდე-10%; 360 დღემდე-50% და 360 დღეზე მეტი 100%-ით.

თუ არსებობს კომპანიის მენეჯმენტის არგუმენტირებული რწმუნა, რომ დავალიანება აუცილებლად სრულად დაიფარება, მაშინ ასეთ კონკრეტულ კლიენტზე რეგერვი აღარ შეიქმნება. ასევე, მენეჯმენტის რწმუნებითა და არგუმენტირებით, შესაძლებელია კონკრეტულ დებიტორულ დავალიანებაზე რეგერვის ინდივიდუალური წესით განსაზღვრა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება შემდეგნაირად: თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ღირებულება. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

ძირითადი საშუალებების შეკეთება, მისი მოხდენისთანავე აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. ის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან აღიარების შეწყვეტიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის გამოსათვლელად კომპანია იყენებს წრფივ მეთოდს, რათა მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მოხდეს მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდის გადახედვა ხდება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში იცვლება.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (მიღებული და გადახდილი საკომისიოების ჩათვლით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს) ან მოკლე პერიოდის განმავლობაში, ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებით. საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გაცემული სესხების აღრიცხვა

გაცემულ სესხებზე კომპანია აჩერებს პროცენტის დარიცხვას შემდეგი ორი კრიტერიუმის არსებობის შემთხვევაში:

ა) 1 წლის განმავლობაში არ მომხდარა არც პროცენტის, არც ძირითადი თანხის მიღება (როდესაც ეს შეთანხმებული გრაფიკით გათვალისწინებული იყო)

ბ) არსებობს მენეჯმენტის შეფასება, რომ ვერ მოხდება გაცემული სესხის მიღება.

კომპანიას არ აქვს გაცემული სესხები.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის მოიჯარესთვის გადაცემას. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში. ისეთი დანახარჯები, როგორიცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექმომსახურება, დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის მოიჯარესთვის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისისათვის მოიჯარემ მისი უფლებები აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე უნდა აღიაროს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი (დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საიჯარო გარიგების მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან) დაემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

შემოსავლის აღიარება

კომპანიაში შემოსავლების აღიარება ხდება იმ მომენტში, როდესაც მოხდა პროდუქციის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, ვინაიდან კონტროლის გადაცემა ტრანზაქციისთანავე ხდება.

შემოსავალი აღირიცხება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს წმინდა მისაღებ თანხებს, მიწოდებული საქონლისთვის ან გაწეული მომსახურებისათვის ფასდათმობის, საქონლის უკან დაბრუნების გათვალისწინებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით.

მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება ესტონური მოდელის შესაბამისად.

გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

შპს „უნივერსალ თრეიდინგი“ წარმოადგენს სპეციალურ სავაჭრო კომპანიას და შესაბამისად განთავსებული არის მოგების გადასახადისაგან.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგები ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში, მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია სანარმოო მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათი შეძენისა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს და იმ დანახარჯებს, რომლებიც განეულება მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირების და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისთვის.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები აქტივის საბალანსო ღირებულებაზე გადავა მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მომავალში ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება, მაგრამ თუ არსებობს რაიმე ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების ან ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც თანახმაა წინასწარ იქნა გადახდილი, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარი გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულებების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საგადასახადო კანონმდებლობა, თავის მხრივ, საგადასახადო კოდექსის გარდა სხვა კანონებსა და ნორმატიულ აქტებს მოიცავს. კერძოდ, საგადასახადო კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებების, საგადასახადო კოდექსისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისგან (ბრძანება, ბრძანებულება, დადგენილება).

საგადასახადო კოდექსი მკაცრად განსაზღვრავს გადასახადებით დაბეგვრისას, მხოლოდ ძალაში შესული ნორმატიული აქტების გამოყენებას, რომლებიც მოქმედებს ან მოქმედებდა უშუალოდ საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის, მიუხედავად იმისა, გადასახადის გადახდის მომენტში შეცვლილია თუ არა შესაბამისი ნორმატიული აქტი.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანიის მენეჯმენტი ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას აკეთებს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ასეთია: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ, შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი.

5. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2022 წელი	31 დეკემბერი 2021 წელი
ფულადი სახსრები ლარის ანგარიშებზე	4,771	24,091
ფულადი სავალუტო ანგარიშებზე	1,606,187	321,253
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	1,610,958	345,344

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022 წელი	31 დეკემბერი 2021 წელი
სავაჭრო მოთხოვნები	1,733,338	9,799,264
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-	934,410
სხვა მოთხოვნები	10,143	294
	1,743,481	10,733,968

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022 წელი	31 დეკემბერი 2021 წელი
სავაჭრო ვალდებულებები	13,510	22,303
სხვა ვალდებულებები	426	-
	13,936	22,303

სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;

8. შემოსავლები

	31 დეკემბერი 2022 წელი	31 დეკემბერი 2021 წელი
შემოსავლები პროდუქციის რეალიზაციიდან	10,327,000	36,921,939
	10,327,000	36,921,939

9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31 დეკემბერი 2022 წელი	31 დეკემბერი 2021 წელი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7,976,424	28,082,826
	7,976,424	28,082,826

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი 2022 წელი	31 დეკემბერი 2021 წელი
დასაქმებულთა ანაზღაურება	180,615	230,364
სხვა ხარჯები	21,396	14,154
	202,011	244,518

11. მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ძალაში შევიდა ცვლილებები კომპანიებისთვის კორპორატიული მოგების გადასახადის მიმართ. ე.წ. ესტონური მოდელის მიხედვით, მოგების გადასახადით იბეგრება მხოლოდ განაწილებული მოგება. მოგების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ ექვემდებარება აღნიშნულ მოგების გადასახადს.

12. პირობები და ვალდებულებები

საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რასაც შესაძლოა ხშირად ჰქონდეს ადგილი. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ყოველი ასეთი ინტერპრეტაცია, შესაძლოა შესაბამისი ორგანოების მიერ ეჭვქვეშ იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა,

კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში, შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განახორციელონ, ამან კი თავის მხრივ, გამოიწვიოს ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები, როგორსაც წარსულში ადგილი არ ქონია. შედეგად შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმების დაკისრება.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მისი ინტერპრეტაცია კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია.

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას საინვესტიციო ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ გააჩნია.


მნიშვნელოვანი მოვლენები და ზეგავლენა

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის შეჭრამ უკრაინაში და განვითარებულმა საომარმა მოქმედებამ, კომპანიის საქონელბრუნვაზე საკმაოდ დიდი გავლენა იქონია; უარყოფითად იმოქმედა კომპანიის შემოსავალზე, კერძოდ ვეღარ ხდებოდა საქონლის შეძენა და ასევე უკვე შეძენილი საქონლის დროული მიღება, რამაც კომპანიის ბრუნვისა და შესაბამისად, მოგების შემცირება გამოიწვია.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ რაიმე მოვლენა არ გამოვლენილა.

მენეჯმენტის სახელით:

	
დირექტორი	მთ.ბუღალტერი
ნიკოლოზ ნათბილაძე	ვალინა ვახტანგიშვილი
2023 წლის 11 აგვისტო	2023 წლის 11 აგვისტო
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო



კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში, შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განახორციელონ, ამან კი თავის მხრივ, გამოიწვიოს ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები, როგორსაც წარსულში ადგილი არ ქონია. შედეგად შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმების დაკისრება.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მისი ინტერპრეტაცია კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია.

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას საინვესტიციო ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ გააჩნია.

მნიშვნელოვანი მოვლენები და ზეგავლენა

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის შეჭრამ უკრაინაში და განვითარებულმა საომარმა მოქმედებამ, კომპანიის საქონელბრუნვაზე საკმაოდ დიდი გავლენა იქონია; უარყოფითად იმოქმედა კომპანიის შემოსავალზე, კერძოდ ვეღარ ხდებოდა საქონლის შეძენა და ასევე უკვე შეძენილი საქონლის დროული მიღება, რამაც კომპანიის ბრუნვისა და შესაბამისად, მოგების შემცირება გამოიწვია.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ რაიმე მოვლენა არ გამოვლენილა.

მენეჯმენტის სახელით:

დირექტორი

ნიკოლოზ ნათბილაძე

2023 წლის 11 აგვისტო

თბილისი, საქართველო

მთ.ბუღალტერი

ვალინა ვახტანგიშვილი

2023 წლის 11 აგვისტო

თბილისი, საქართველო

ინდივიდუალური მმართველობითი ანგარიშგება

შპს „უნივერსალ თრეიდინგი“

2022 წელი

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „უნივერსალ ტრეიდიგ“ დაფუძნდა 2019 წლის 17 მაისს და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ტექსტილით, არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა საკვებით, სასმელებით და თამბაქოს ნაწარმით. შპს „უნივერსალ ტრეიდიგს“ მინიჭებული აქვს სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსი.

კომპანიის მფლობელი არის: ფეფიჰიპან არასი 100%

კომპანიის დირექტორი: ნიკოლოზ ნათბილაძე

მთავარი საქმიანობა არის საბითუმო ვაჭრობა საკვებით (გაყინული ხორცი და კარაქი). კომპანიაში დასაქმებულია 4 თანამშრომელი.

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

შპს „უნივერსალ ტრეიდიგის“ მთავარი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა საკვებით (გაყინული პროდუქტებით). წლების განმავლობაში მისი განვითარება მოიცავს ახალ გამოწვევებს, სხვადასხვა პროდუქციის შექმნას. შედეგად კომპანიის მიერ გაყიდული პროდუქცია მოიცავს 3-ზე მეტ დასახელებას ბოლო პერიოდის განმავლობაში. კომპანია ცდილობს, რომ გაყიდული პროდუქციის რაოდენობა წლიდან წლამდე მუდმივად მზარდი იყოს, თუმცა 2022 წელს რუსეთის შეჭრამ უკრაინაში უარყოფითად იმოქმედა კომპანიის შემოსავალზე, კერძოდ ვეღარ ხდებოდა საქონლის შეძენა და ასევე უკვე შეძენილი საქონლის დროული მიღება, რამაც კომპანიის ბრუნვისა და შესაბამისად, მოგების შემცირება გამოიწვია.

ქვემოთ მოცემულია 2021-2022 წლების კომპანიის ფინანსური კოეფიციენტები:

ფინანსური კოეფიციენტები	2022	2021
წმინდა მოგება/შემოსავალი	8.42%	19.96%
ადმინისტრაციული ხარჯი/შემოსავალი	1.96%	0.66%
წმინდა მოგება/საშ. წლიურ აქტივებთან	12.04%	47.09%
წმინდა მოგება/საშ.წლიურ კაპიტალთან	12.07%	47.20%

მენეჯმენტის სახელით:

შპს „უნივერსალ ტრეიდიგის“ დირექტორი

11/08/2023

თბილისი, საქართველო



საქმიანობის მიმოხილვა

შპს „უნივერსალ თრეიდიგ“ დაფუძნდა 2019 წლის 17 მაისს და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ტექსტილით, არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა საკვებით, სასმელებით და თამბაქოს ნაწარმით. შპს „უნივერსალ თრეიდიგს“ მინიჭებული აქვს სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსი.

კომპანიის მფლობელი არის: ფევიზიჰან არასი 100%

კომპანიის დირექტორი: ნიკოლოზ ნათბილაძე

მთავარი საქმიანობა არის საბითუმო ვაჭრობა საკვებით (გაყინული ხორცი და კარაქი). კომპანიაში დასაქმებულია 4 თანამშრომელი.

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

შპს „უნივერსალ თრეიდიგის“ მთავარი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა საკვებით (გაყინული პროდუქტებით). წლების განმავლობაში მისი განვითარება მოიცავს ახალ გამოწვევებს, სხვადასხვა პროდუქციის შექმნას. შედეგად კომპანიის მიერ გაყიდული პროდუქცია მოიცავს 3-ზე მეტ დასახელებას ბოლო პერიოდის განმავლობაში. კომპანია ცდილობს, რომ გაყიდული პროდუქციის რაოდენობა წლიდან წლამდე მუდმივად მზარდი იყოს, თუმცა 2022 წელს რუსეთის შეჭრამ უკრაინაში უარყოფითად იმოქმედა კომპანიის შემოსავალზე, კერძოდ ვეღარ ხდებოდა საქონლის შეძენა და ასევე უკვე შეძენილი საქონლის დროული მიღება, რამაც კომპანიის ბრუნვისა და შესაბამისად, მოგების შემცირება გამოიწვია.

ქვემოთ მოცემულია 2021-2022 წლების კომპანიის ფინანსური კოეფიციენტები:

ფინანსური კოეფიციენტები	2022	2021
წმინდა მოგება/შემოსავალი	8.42%	19.96%
ადმინისტრაციული ხარჯი/შემოსავალი	1.96%	0.66%
წმინდა მოგება/საშ. წლიურ აქტივებთან	12.04%	47.09%
წმინდა მოგება/საშ.წლიურ კაპიტალთან	12.07%	47.20%

მენეჯმენტის სახელით:

შპს „უნივერსალ თრეიდიგის“ დირექტორი

11/08/2023

თბილისი, საქართველო